


წლიწადი
პირველი



1 დეკემბ.
1877 წ.

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციასში, მთაწმინდის ქუჩასზე, შიოშვილის სასახლის სემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკასში.

გაზეთი ივერია გამოვა 1878 წელს იმავე სახით, იმავე ზრთოვანობით და ისევე კვირებაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ფასი ერთის წლისა, ვაკისავენით თუ ვაკისავენელად, შვიდი მანეთია.

სელის-მოწერა მიიღება ტფილისში, „ივერიის“ რედაქციასში, რომელიც იმყოფება მთაწმინდის ქუჩასზე, შიოშვილის სასახლის სემოდ, ქანანავის სასახლში, სახლი № 5.

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკასში.

ტფილისის გარე მცხოვრებთა შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი «ივერია» ამ აღწერით: **ВЪ ТИФЛИСЪ, ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗЕТЫ ИВЕРІА.**

საქართველო I. საქართველოს მატანი: გორი—ქართლი (ივერიის გორესპონდენცია)—II. ამის ამსები.—III. საზოლიტიკო მიმდინავე:—საფრანგეთი—ინგლისი—ოსმალეთი—ავსტრია—გერმანია.—IV. გლეხურა სიმღერები—V. წერილი შეტყობურგადამ: წერილი შესაქე.—VI. ზრთოვანობის მეთვალყურეს შენიშვნები.—VII. ტფილისის თავად-ახსნაურთა ბანკის გირაობის ფურცელნი შეტყობურგადამ ბირჟასზე.—VIII. წერილი გურაიადამ.—IX. წერილები ივერიის რედაქციისადმი.

საქართველოს მატანი

(„ივერიის“ კორესპონდენციათა)

გორი, 23-ს სოფლის. გორის საქალბო შკოლას რედაქციას ან ებედა რევიანი მსწავლებლები. რა-

გორც მოგვხსენებთ, ეს სასწავლებელი დააარსდა ერისთავანთ თაოსნობით. უფ. მასრის უფროსი და აგრეთვე გნ ქეთევან ერისთავისა დღევანდლამდე რაც შეუძლიანთ ცდილობენ მისს კეთილ-წარმატებისათვის, მაგრამ როგორღაც თავს ვერ მოდის. ღარიბათ არის შკოლა, ეს შეატყვეს და სხვა და სხვა ზიროთ მეცადინეობით დააარსდა დროებით, და იქნება სამუდამოთაც, თუ მოინდომეს, ზატარა ქართული სცენა. წამოდგენებიდგან რაც ფული რჩება, შკოლას ხმარდება ხალხი. დემოტონი, ყველას იმისკენ აქვს თვალი მიქცეული, მაგრამ არა ეშვება რა. ზირველად, მიზეზი ისაა, რომ მსწავლებელი-ქალი უსერიო ხვდება. ზირველი მათგანი იყო და ძლიერ-ძლივობით მოიშორეს; ესლას ამ ენკინისთავში მოიყვანეს და ხელ-მრუდი გამოდგა. მსწავლებელი და ხელმრუდი?.. წადი და გასწავდე ამისთანასთან შვილი.—შოლოდ ერთი იყო რევიანი მსწავლებელი ქალი. ვარჯარა დაფქვივეს ასული. რომ დასცლიყო და მალე ამ ქალისთავინ ბოლო არ მოელო სიკვდილს, სწორედ შესანიშნავ სატებლასს მოუტანდა შკოლას. უნებოთი მხრივ იყო შესანიშნავი ეს ქალი. რომ იტყვიან „რადგან ჩამოსული ანგელოზია“ სწორედ იმაზედ იყო ნათქვამი. თავის მოვალეობას ასრულებდა სინიდასიერად, ისე რევიანად, როგორც შეშენის ბავშოთა აღმზრდელს. ვერასფერს წუნს ვერ შეიტანდა კაცი მის ქცევასში, ხასიათში; მოსწავლეებთან ისრე ეჭირა თავი, როგორც თავის და-ძმებთან; ჭქონდა საქმის სიყვარული და ესმოდა. მაგრამ ამ კარგს ადამიანს, როგორც ყველას კარგს ჩვენში, მალე მოელო ბოლო.

მეორედ მიზეზი, იქნება ისაა, რომ ფულს გატყობილ, ძირ-გასვრეტილ ყუთში ჭქრიან. არა მკონია

გატეხილ ყუთში, ან განსვრეტილ ჯიბეში მწრუნაგო ფული ჩაჭყარონ. — ცუდათ ვი მიდის საქმე და, როგორც მესმის; რადგან ეს საქმე ძალიან სასარგებლოა, რადგან ქალთ განათლება ჩვენში, მერე შრომინიანაში დაბლა სდგას, ამისთვის იმედია, რომ უფ. მასონის უფროსი, რადგან შეძლებაც შესწევს, თვის ერთგულებას, გეცადინებოთ ან დაწოგავს და ეცდება ხეირიან ს მასწავლებლის შოვნასაც (ის ხელმძრუდე ვი მაშინვე დაითხოვს, რომ სიტყვაც არ ამოაღებინეს) და ფულსაც რიგსედე მოახმარებს.

წაკოლა—ც

მართლი. მოსავალი ყოვლისფრისა კარგი იყო წელს ქართლში. მაგრამ სიმკირვა ყველაფრისა. აქნამდინ უფრო საშინელი სიმკირვე იყო; ესლა ვი ცოტა დაიწია; მიზეზნი სიმკირვისა ვაჭრები განლაგან; ესენი განსელა ომიანობამ. ეცნენ ყველაფერს და ერთი ორად ფასი მისცეს ყველაფერში. მაგრამ ბევრი ვი ჩაჯდა, ღვთის ძაღლით, კომბოსტოთი.—ამ წაფხულ საშინელი ციებ-ცხელება იყო სოფლად; დიდი წაწალი მიეცა ბავშვებს!.. მეჯვრისხევეში, ამბობენ, თითქმის სრულად განაჩანაგა ბავშვებოი ქუნთრუშამ.—საქონელიც ძალიან დაწაწაწა ჭირმა; ესლაც ბევრ სოფლებშია მოღებული. საწყალს გლეხს ერთი ნუგეში მიეცემა—მოსავალი, მერე ისეთი რამ გამოუტყვრება, რომ სულ დააშხამებს. ამ საცოდავს რაღა ჭირი და ხოცვა უნდა.

ესლა ძალიან კარგი დარბია აქ. დიდი ხანია ასრე უწვიმდად არ გაუვლია შემოდგომას. მაგრამ, როგორც მითხრეს, თაგვი ძალიან განსელბულა და ახდენს ჯეჯილებს. რასაკვირველია, მარცვალსაც ვი ცანდა. გლეხი მონატურია ესლა წვიმასა და ვაჭარი დარისა.

მ მ ი ს ა მ ბ ე ბ ი

— 28 ნოემბერს ღამით მოვიდა ტელეგრამმა, რომ ოსმან-ფაშამ ვიდდისავენ გაიწია და ღამოდა ჩვენის ჯარის გარღვევას, მაგრამ უგუშტეულ იქმნა; რუსის ჯარმა დაიჭირა ზღვანა, ოსმან-ფაშა მომწვედუელია და იმულებულია თავისის ჯარით ტყვეთ მიეცეს რუსებს. 29-ს ნოემბერს ტფილისში დიდიდამევე წაწაწაწის სრ-

ლა იყო ამის გამო ბოგოტიდამ ამავე მოვიდა, რომ 28 ნოემბერს მთელი ჯარი ოსმან-ფაშისა დაჭტემა გრენადირის დივიზიას იმ აწრათ, რომ გაერღვია და გასულოყო. სუთი საათი ძლიერი ომი ყოფილა. თვითონ ოსმან-ფაშა დაუჭრიათ ფეხში, მთელი ჯარი ოსმან-ფაშისა და თვითონ ოსმან-ფაშაც ტყვედ დაწხომათ რუსებს, რაც ვირამ ყოფილა ზღვანაში სულ ყოველისფერ რუსებს ხელში ჩაუტდიათ. შეტყობურგში ამის გამო დიდ სინარული და აღტაცება არისო.

— 22 ნოემბერს ოსმალეები იერამით დაჭტემათ რუსთა სიმაგრეს მარენასთან (დუნაისყედ). ღენიჯელ დიუტანტი სვიატოპოლკ-მირსკი ორის ქვეითა ჯარის შოლკითა იმულებულ იქმნა ელენსკენ დაეწია და იმ ელენსთან სამსრივე გარშემოტყემული ოსმალთაგან ორი საათი იბრძოდა, მაგრამ ძაღდატანებულ იქმნა ელენიდანც ძალიან დაწარალებული უკან დაწეულიყო და მისულოყო წინადვე გამაგრებულს ადგილს სოფ. იაკოვიცის ახლო, ხეობის წინ. ყოველ მხრიდამ მისაშელებლად ჯარი გაუგზავნიათ. 23-ს დიღით ოსმალნი კვლავ მისეკიან თ. სვიატოპოლკ-მირსკის, მაგრამ ამ ხანად ვი თ. სვიატოპოლკ-მირსკი გამაგრებია და თავისი სიმაგრე არ დაუთმია. მეშეელმა ჯარმა მოდენს დაიწყო.

— მეორე დეშემა ამბობს: 23-ს ნოემბერს თ. მირსკიმ დაიცვა სიმაგრე იაკოვიცის სოფლის ახლო დაიქვი იდგომილა დამე, თუმცა აურებელი ჯარი ოსმალთა ელენის სამსრუთით მოგროვდა და შეიკრია. დღეს დიღა-სედ (24 ნოემბერს) მეშეელი ჯარი უნდა სრულად მისლოდა თ. მირსკის. 22 ნოემბერის ომი მარენასთან და ელენსთან უფრო საუბედურო იყო ჩვენთვის, ვიდრე აქამდე გვეტონა. დაგვიწარლდა 50 აფიცრეკი და 1,800 ჯარის გაცი დაჭრდიოთა და მედრითა. დაგვეკრვა 11 წაწაწანი, რომელთ შორის ოთხი გაფუტებული იყო და შვიდი ვი მტერს დაწა, რადგანაც ცხენების დასოცვის გამო წაწაწნის ტარება აღარ იყო შესაძლო. სხვა ამ უბედურის საქმისა ვერ ცნობილი არ არის. გუშინ (24 ნოემბერს) საქმე იმით გათავდა, რომ ოსმალთა მემარჯველე გუნდი წლატარინიდამ განვდეგნეთ და ბერკვისაკენ გავეტეთ, შემარცხენე გუნდი ვი ღამოდა დატყემოდა, მაგრამ შუადღის სამს საათზედ ისევე შედგა ოსმალთა ჯარი იკრბეას წლატარინის წინაშე ათი ათისი გაცი და იაკოვიცის წინაშე ოც-და-ათი ათასი. დღეს (25 ნოემბერს) ორს საათზედ იაკოვიცის ახლო ომი გაიმართა, მაგრამ ოთხს საათზედ სრულა შეჭტედა.

— მუხთარ-ფაშას უცნობებია თავისის მთავრობისათვის, რომ რუსის ჯარი, არწრუშედე მოსულია, წამითის ბინებს იკეთებსო.

საზოლიტიკო მიმოხილვა

საზრუნველობა. განწირულებითა მდგომარეობა საფრანგეთისა არამც თუ მასურტად, დღე და დღე უფრო ძლიერდება. ჭანნი მოთმინებისა დაიჭიმა და არცინ იცის სად გაწყდება და სად არა. ბეჭი შიშობს, რომ თუ საქმე ასე წინ-დაუსრულდება წავა, ერთი სისხლი ღვრა, მათა-კვლად და ყლუტა გაიმართება. მართალი კედლებზედ მრავალი წერილები მიუგრაკთ და ამ წერილებში მოთვრობას სწორედ ღანძლები და ემუქრებიან. რამდენიმე კაციც დაუტყრიათ ქუხუბზედ უვირთისათვის და სახლის ასამღვრეკად მასილისათვის

ეს დალოცვილი მაკ-მაგონი რადაც სეზრე-კაცი ყოფილა. მისთვის ქვეყნიერებაზედ არც განხიან, არც სამართალი, არც სახლის სურვილი, აქა და მრეზიდენტი ვარ რესპუბლიკისა და რაც მინდა იმას ვაქმე. ყველაფრის უფრათობა შეგვიტყობა, მაგრამ როცა სახლი იმისს არ მინდისარა და მე მინც უფვირო, სტყუი გინდივარა,—ამისთანა უფრათობა ვი არ გაგონილა; სწორედ მოგასხენათ. მთელი ქვეყანა, არამც თუ მართა საფრანგეთი, სხვა გარეშე ქვეყნებიც, სახსცილოდ იგდებენ ამ გვარს ქცევას მაკ-მაგონისას, მაგრამ შენც არ მამაკედ, ეს ყურსაც არ იბერტყავს, ჩემი საქმე მე ვიციო. ამ გვარის ქცევით საფრანგეთის სახლი სისხზედ მოჭყავს, მაგრამ რესპუბლიკელნი იმოდენად გონივრულად იქცევიან, რომ შეგინებულს და გაბრახებულს სახლს გულს უშოშმინებს და ხელში იარაღს არ აღებინებს. რესპუბლიკელნი იმ აზრზედ დგანან, რომ ამისთანა უფრათს, უგონოს და წინ დაუსრულავს მრეზიდენტისა მართა განხიის ძალით უნდა ვეწინააღმდეგოთო და ამ წინააღმდეგობაში განხონს არ უნდა გადავცდილოთ. ამისთანა რიგანი და მართებული აზრი რესპუბლიკელებისა ძალიან მოჭსწონს საფრანგეთისა, რომელიც მრავალჯერ გვემუღია სისხლის ღვრით სამართლის აღდგენის გამო.

რესპუბლიკელთა რაი მკვიდრი ფარ-სმადი აქვთ ხელში, რომ შელავთის თავში-მწკვარი მოთვრობა. ერთი ის, რომ მისგან დაწურებულს სამინისტროს არც ერთი სურვილი არ აუსრულეს და ყოველ შემთხვევაში გამოურხადეს, რომ მე შენ არ გენდობიო, მეორე და უდიდესიც ის, რომ სახელმწიფოთა საქმეთა წარმოებისათვის საჭირო ფული არ მიჭსტეს. ამ უკანასკნელის ზომიერე-

ბით ყოველგან, სხვა ვი კონსტიტუციას არის სახლის წარმომადგენელთაზედ დამყარებული, სახლს ხელში უჭირავს მოთვრობის ღვრითი სოლი. თუ მალატი საჩქვის ფულზედ უნდა ეტყვის მოთვრობასა, მაშინ სახლიც, რომელიც ყოველთვის ჭმუჭუნით იძლევა გადასახადს, უარზედ დადგება სოლი და გროშსაც არ იძლევა.

ეს ღანძლები მალატმა ეს რაი ფარ-სმადი ერთად იმდარ თვისთა დაწურებულ მოთვრობის წინააღმდეგ. რაც მაკ-მაგონმა ძალი სამინისტრო ბრალისა გადაყენა და სახლი ამოიწვია,—ეგ სახლი სამინისტრო არ მოეწონა მალატს. ვერ იმიტომ-რომ არც ერთი წევრი სახლის სამინისტროში არაფრით გამოჩენილია, მეორედ იმიტომ, რომ არც ერთი წევრი სახლის წარმომადგენელთაგანი არ არის, ესე იგი, არც სენატს ეკუთვნის და არც მალატს. ეკეთი სამინისტრო წინააღმდეგია ყოველის საკონსტიტუციო წესისა და დაწურებულისა. რაც ეს სახლი სამინისტრო წარსდგა მალატის წინაშე, მალატმა შირ-და-შირ გამოურხადა, რომ ჩვენ თქვენთან არავითარს საქმეს არ დავიჭერთო. შინა-საქმეთა მინისტრმა ბეჭი ილაქლაქა მასზედ, რომ განა ერთხელ და რაჯერ მომსდარა, რომ სამინისტრო მარლამენტის წევრთაგან არ იყოს შემდგარი; სხვა ამისთანა რაი წყობას (სენატი და მალატი) როგორც საფრანგეთშიო განა არ შეიძლება ის სამინისტრო იყოს განხიერიო, რომელიც მალატს არ მოსწონს და რომელსაც სენატი ვი უბუღობსო, მაგრამ მალატმა ყურცი არ ათხრავს ამ გვარს ძელა-ძულობას და უბედობას.

როცა ამ სახლმა სამინისტრომ მალატში წინადადება შეიტანა საჩქვისათვის ფულის დანიშნის თაობაზედ, მალატმა მასზედ ეს უთხრა, რომ ჩვენ მაკ წინადადებას არც ვი გავსინჯავთო, ვიდრე განხიერი სამინისტრო არ იქნება შემდგარიო და არამც თუ ხელახლად, არამედ ის ფულიც, რაც ბრალის სამინისტროს 16 მისილამ დღემდე უმალატოდ დაუსრულავსო, ისიც უკანონოდ გვიცენია და ამის გამო დამნაშავენი მასუხის გებაში უნდა მიეცნენო. თუ საქმე ასე გაგებულა, მაკ-მაგონს და მის გულითადს სახლს სამინისტროს გროშიც არ ექმნება, რომ არამც თუ სახელმწიფო საქმენი წარმოკონ, არამედ თვისი ჯამაგირი მინც აიღონ სოლი. შენი მტერი იმით საქმე დაემართებათ!...

თუ მცა მაკ-მაგონი ემუქრებოდა მალატს, რომ თუ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ფულს არ დანიშნავ-

სა, სენატს მოეჭვოს ნება-მოვასა ამ პალატის დათ-
 ხლებისასა, მაგრამ პალატი ამ მოუქმანს ან მოუშინდა და
 თავისი ქმნი. ამის მერე კიდევ სმა დავადა, გასეთების
 სიტყვით, რომ მაკ-მატონი თანსმა იქმნება სამინისტრო
 პარლამენტის წევრთაგან შეადგინოს, თუ ამის წინა
 პალატი შემოსავალ-გასავალის ფულს დანიშნავს. მაგრამ
 არც აქ მოტყუება პალატი, და არც ამ დაპირებამ მოიბიძ-

პალატს მინც შიში აქვს, რომ იქნება სენატმა
 მართლა ნება მიტყვეს პალატის დათხლებისა. ეს შიში
 უსაბუთო არ არის, რადგანაც სენატში რესპუბლიკელნი
 ნაკლებ არიან, ვიდრე მაკ-მატონის მომხრენი და რადგან-
 ანც სენატში ყოველი საქმე ჰსწევდეს მათგან, სათავეს
 თუნდა ერთი სმა იქმნება გადაწყვეტილი, ამისათვის ეს-
 ლა პალატი თხოულობს, რომ პალატის დათხლების საქ-
 მე ჰსწავდებოდეს ხალხმე სენატში რისი მესამედის ხმის
 უმრავლესობითა და ამის მიხედვით კონსტიტუციის ვა-
 ნონის შეცვლა სურს. ეს საქმე მეტად ჰსწევნია მაკ-მა-
 ტონს და პარტიამ მისული დეპუტა ამბობს, რომ მაკ-
 მატონს უნდა რეგულარულ მოტყუებულა პალატსა და ეს-
 ლა კი, რაცა პალატი შემოსვენებულის კანონის შეც-
 ვლას ნდამუდობს, მორიგებას ადგილი აღარ ექმნება
 იმ დრომდე, ვიდრე პალატი მაკ კანონის შეცვლას
 ხელს არ აიღებს. ეს მოუქმანს ხაყის ჭიდილი ამას-
 ჩავისაგან. თვითონ მაკ-მატონს უკვძმანა ეს და მოუწე-
 ვია სენატისა და პალატის პრეზიდენტობა რეფორმ-
 და გრევი რევიის საკითხად. ბოლოს ეს ამბავიც მოვი-
 და, რომ ზომიერი რესპუბლიკელი დიუფორი დაუყენე-
 ბია პირველ მინისტრად, მაგრამ ვერც დიუფორს გაუჩი-
 გებია რამე. ასლა ამბობენ კონსტიტუციული წერი სე-
 ნატისა ბატონი მოუწევია მინისტრად და ასლის სამი-
 ნისტროს შესადგენათა. ეს ბატონი იმ აზრისაა, რომ
 მაკ-მატონმა ხალხისა და პალატის წინააღმდეგობის სურ-
 ვლას თავი უნდა დაანებოს და თავისი მოქმედება უნდა
 დაამყაროს წმინდა პარლამენტის წესზე. ამბობენ, არა
 ერთხელ მისულა ბატონი და ეს უჩვეია მაკ-მატონისათვის.

რესპუბლიკელი გასეთები კი ამბობენ, რომ
 ეს აღიანქოთი და განწირულება ვერ გათავდე-
 ბა, თუ მაკ-მატონი არ გადადგება პრეზიდენტობი-
 მა. ერთი გასეთი კიდევ ამბობს, მაკ-მატონი ფულუბ-
 ზედ ცრტა უგარვად ბრძანდება, მივცეთ 800,000
 ფრანკი, რომელიც მაკას ვამაგიტში ერგებოდა, თუ 1880

წლამდე დარჩებოდა პრეზიდენტათა, და ამ რიგად თა-
 ვიამ მოვიტყუათ. ზოგი კიდევ ამბობს, რომ ყოველ
 კუთხეს საფრანგეთში მოუთმენელად მოელოან მაკ-მატ-
 ნის გადადგომის ამბავსა. ეს ყოფა, ეს ხმები, ეს თავსა-
 ცილი ცხადად ამტკიცებს, რომ მაკ-მატონს და მის მთავ-
 რობას არმც თუ სახელი გატყვის საფრანგეთში, არა-
 მედ პრეტ აღარ ჰქონია. მაშ ის დადგენილი რადს
 გამოტყუელა პრეზიდენტობის ტახტზე!

ინგლისი. ინგლის ხალხისა, თუ მთავრობის ყუ-
 რადღება აღმოსავლეთის საქმესა მიქცეული იმდენად
 რომ შინაური საქმეები მისი აღარც თვით ინგლისელებს
 ასსოვთ და აღარც სხვასა. წინა „იუნიონის“ ნომერში
 მოხსენებული იყო, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა
 მინისტრმა ლორდ დერბიმ წამოაქმნა, რომ ინგლისს
 ვერ არავითარი მიხედა და საბუთი არა აქვს აღმოს-
 ვლეთის საქმეში იარაღით ხელში ჩაეროს. არც ფრ-
 სის აღება, არც არხრუმისა და არც ტრანზიონისა ზეგნს
 გზას ინდოეთისაგან ვერაფერს დაუშლის, ვიდრე სუე-
 ცის არსი თავისუფალი იქმნება. ამ სიტყვამ სწორედ
 ცივი წყალი დასსა რსმალო-მომხრეების მსურველ გულ-
 სს. ესენი მოელოდნენ, რომ რაგი რუსეთსა ფრსი აი-
 დოვო და ასე გაიმარჯვა მცირე აზიაში, ინგლისი გა-
 მოვს და ეტყვის რუსეთს: გეყოფა, ამას იქით ფეხს
 ნუღარ წყნდგამო. მაგრამ, რეგულარულ ლორდ დერბის
 სიტყვადმა ჰსხანს, მთავრობას სულ სხვა განზრახვა და
 არა ჰქონია აღმოსავლეთის საქმის შესახებ. ეს მეტად
 ჰსწევნიათ რსმალო მომხრეებს. გასეთი „Morning
 Post“-ი ამბობს, რომ ჩვენს მთავრობას ვერ გაუგია ის
 განწირულებითი მდგომარეობა, რომელიც ინგლისს ხა-
 ვარდა ფრსის აღებასა და მცირე აზიაში რუსთა გამარ-
 ჯვების შემდეგა და ამის გამო ჰსწვენებს ლორდ დერ-
 ბის სიტყვასა. მაგრამ გასეთი „Times“ და „Daily
 News“-ი კი ფიქრობენ, ლორდ დერბის სიტყვა და
 არა სრულიად აქამოფილებს ინგლისელთ უმრავლეს-
 ობის სურვილსა. თუმც ასეა საქმე, მაგრამ ინგლისის
 მთავრობა მინც თავისას არ იშლის და სცა კი ხელი
 მოუწვდება ცდილობს რუსეთს საქმე შეუშალოს. 22-ს
 ნომერს ამბავი მოვიდა, რომ ინგლისის მთავრობამ
 ნოტა გაუგზავნა სერბის მთავრობასა იმ აზრით, რომ
 სერბია არმც და არმც იმში არ გაერიოს, არ ვინით

ამ გვარი შეთვალა რამდენად გაჭსტობის და რამდენად გაფიქსირებულს სერობას, ეს კი აშკარაა, რომ ინგლისის თავისას არ იშლის.

ესლს, როცა ზღუენს აიღეს და რამდენი ფაქტის ჯარის ხელთ იგდო რუსეთმა, ინგლისის მთავრობა ძლიერ დატოვებულა, რამდენადაც მომხრეებიც აღელდებიან და საფიქრებელია, რომ ინგლისის მთავრობა ძლიერ თავს გამოიღებს ან რუსეთის შეეხებებისათვის, ანუ შერიგების შუამდგომლობისათვის. რასაკვირველია, ერთი და მეორეც დამოკიდებული იქნება მასზე, თუ ინგლისის მთავრობა მომხრეებს მოაზრებს ევროპის სასკლამფიფოთა შორის. მაგრამ ამაზე დიდი ეჭვია: მას აქედ რა საფრანგეთს სმას თავისი რისი მოაკლდა ევროპის საქმეებში და ეგ სმას სრულიად გასაკუთრებ გერმანიამ, — ინგლისს ფრთა მოეკვება. ერთი იმედი ავსტრი-ჰუნგარიისადაც უნდა ჰქონდეს ინგლისსა, მაგრამ ავსტრი-ჰუნგარიის ისე დაშინებული და ხელ-ფეხ-შეგრულია იმ წინააღმდეგობის სასკლამფიფოთსა, რომელსაც გერმანიას ეძახიან, რომ ეს იმედიც უიშვია. მაგრამ ვინ იცის? გერმანიის ბოლომდე რუსეთისაკენ იქნება თუ არა? თვითონ გერმანიის იმპერატორზედ კი ეჭვი არ არის, საქმე ბისმარკისა. ბისმარკის სიძინად ისე უეცრად სძინას წამოდება, ანუ მოგვარდნი იცის, რომ იმისაგან ეგულა მოსალოდნელია.

ზღუენის დაცვა და რამდენი ფაქტის, შეზღუობა ისეთი დიდი საქმეა, რომ შეიძლება ამან უფროსი ფერი შეჭსტვალეს, ევროპის ბოლოტიკაში შესასვლელისათვის საქმისა. რომ მოგვსენებდათ, რომ აღმოსავლეთის საქმის გამო ევროპას თითო რამ ჰსტავის და ეს ტვივილი ვის რას ამოაძახიებს, ბოლოს შეეცდებოთ. ერთის სიტყვით, ინგლისს ესლს ვარი გაელო და ჩვენის ფიქრით, თუ რამ შეუძლიან, სიტყვით, თუ საქმით ესლს უნდა გამოიხინოს თავი. დაწმუნებულნი კი უნდა ვიფიქრონ, რომ ინგლისი არაფერს დაწვდის თავისის სურვილის გასაკუთრებას.

მსმალთი. რამდენადაც აღსაზრდის ნიშნად და წინამორბედად ზღუენის აღება და მისი უკეთესის ჯარის შეზღუობა უნდა ჩაითვალოს. ესლს რუსეთს რამდენადაც მსრით თითქმის წინ აღაჩა უდგა რა. თვითონ რამდენი, თუ იმედი უკანასკნელის სისხლის წვეთამდე ბრძოლას იქა-

დინ, ველანს გასდებიან. თუ ევროპა არ შეეწია რამდენადაც სიტყვით, თუ საქმით, მისი საქმე წასულია. ჩვენ, რასაკვირველია, არ გვგონია, რომ ევროპამ რამდენადაც იმპერიის დატოვება და გაუქმება იყბულეს და შეიწყინარეს, ზღუენის აღების სმასზე, თვით სტამბოლი აღელდება და რამდენადაც მთავრობას შინაურობაშივე ერთი არეულობა და აღიანქმითი აუტყდება. ამ არეულობის ნიშნები ჯერ უნდა აღებაზედ აშკარად აღმოჩნდნენ და ესლს ვინ იცის რამ მოხდეს!... რასაკვირველია, რამდენადაც მთავრობა ესლს იცინად მოკვიდება შერიგების საქმეს, ხან ერთს სასკლამფიფოთსა ჰსთავის შუამდგომლობა გამოიწიოთ, ხან მეორეს, მაგრამ ვინ იცის რუსეთს დაიყბულენ, თუ არა. ესლს რუსეთი დიდს სასყიდელს მოითხოვს და რამდენადაც მთავრობა განა ხალხის შიშით გაბედავს რუსეთს თავი დააძვირებინოს და წაითვას რამე!.. ევროპას თვლი ესლს მიმართული იქნება გერმანიისად. თუ გერმანიამ თავისი რისიანი სმას, ზღუენის აღების შემდეგაც, ისევე რუსეთის სასარგებლოდ ამოიღო, მასინ რამდენადაც უფროსი სასკლამფიფოთსა უნდა წარეკეთოს და რუსეთის სულგომილებსაგან უნდა მოელოდეს თავის ბედის წყარას. ავსტრიის უგერმანიად ვერც კი გაიხიზუნებს, ინგლისი მარტო ვერას იქმს და საფრანგეთი რომ თავის შინაურ საქმესაც ვერ ასულია, — ვისი იმედიცა უნდა ჰქონდეს დამარცხებულს რამდენადაც?

ავსტრი-ჰუნგარიის. გერმანიის გასეთში დაბეჭდილია ვერნიდამ შემდეგი ამბავი, მოსული 16 ნოემბერს: რადაც სასარგებლო საქმეთა სემინისტროში დღეისამდე ამბები მოსულია, აქადამა ჰსხანს, რომ ზღუენას ამ დღეებზედ აიღებენ რუსები. (სწორედ არ გამოუტყვინა! 16 ამას ჰსწავრენ და 28 ზღუენას აიღეს.) ამ ამბის შემდეგ მოკლან, რომ გერმანიის შუამდგომლობას იყისრებს შერიგებისათვისა და პოინდამებს, რომ შერიგებაზედ ღაზანკვი მარტო რუსეთმა და რამდენადაც პინდაზინ იქონიონ სხვის გაურუნებლად. ამ აზრზედ გერმანიის დგას ძლიან მტკიცედ და ამას მტკიცედ აღიარებს საკვირითა. თ. ბისმარკს სულაც არ უნდა, რომ ამ საგანზედ ევროპის სასკლამფიფოთსა კრება მოხდეს. გერმანიამ დაწმუნა ავსტრიის, რომ ეგრეცავე მოკვიდება ჰსკლამფიფოთისათვის, რადგანაც ცალკე მოკვიდება ავსტრიის უფრო

ადვილად და უკეთ დაიცავს თავის ინტერესებსა, ვიდრე ვრცობით მოჩივებაშიო. გრატუს ანდრასისა, ვგონებთ, უყბულენია ბისმარკის აზრი და შეუთვლია, მე თანახმა ვარა გერმანიასთან ერთად, რომ უარ-ყოფილიქმნას ვრცობის შედგენა, რომელსაც მეორე მხარე მოითხოვსა.“

ესლა ჰლევენს ადებულ იქმნა და მართლა გერმანიის იგისრებს უნამდგომლობას თუ არა, დრო გამოაჩენს. ეს გი საჭიროა საცნობლად, რომ თუბრა რუსეთის მადან ჰსურს მოჩივების საქმეში სხვა სასკელწიფო არ გაერიოს, მაგრამ მანც და მანც არ იაშება, რომ ამ უმად შერიგებაზედ სიტუვა ჩამოუგდოს ვინმემ, თუნდა მის მეგობარმა გერმანიამაც. თუ მართლა გერმანიის რუსეთს არ დაცდის და შესარიგებლად სიტუვას ჩამოუგდებს, მაშინ ცხადი იქმნება, რომ გერმანიის რუსეთის საწყენს საქმეს არ ერიდება; მაშინ ყველანი დაწმუნებულნი უნდა ვიფხეთ, რომ გერმანიის გულზედ რადაც ჭიამ გადაუბინა. მოვიცდით და ვნახავთ. ამ შვიდ-რვა დღეზედ ბევრი ახალი ამბები მოგვივა და იქიდან ვჭსტნობთ ჰლევენის დახურობამ რა ცვლილება მოახდინა ევროპის პოლიტიკის მიმდინარეობაში ადმოსავლეთის საქმის შესახებ.

გლახური სიმღერები *)

(ომზედ და ვაჟაკობაზედ)

I

შენ, ბიჭო, აზანუტყლო
ხმა შენი შიჩს მოდიოდა,
შენი დაჭრილი ლეკები
აჩაგვში ჩამოდიოდა.

II

მინდოჩშია დამუძინა
დამესვიან ჟინჭკელო,
მეოვის სახლის წინ დავდგები,
თათრის ჟართან ტიტგელო.

III

ადეჩი, ბიჭო, წავიდეთ,
გზა შეგვრათ ჩვენი მტრისა;

მოვიდეთ და გავაქციოთ
როგორც ნადირი ტყისაო.

IV

თამარ-მეფე და სონთქარი
მალაღმა დმერთმა წაჭკიდა,
ზღვაში ჩაუშო სომალდი
ზედ აღმასები დაჭკიდა
ზედ დასსა ქართველთ ლაშქარი
მრავალ წყალბას დაჭკიდა.

V

დედა ჩემო, გამათხროვე,—
რას მიუტრებ რასაო?
ქმარსა ლაშქარსა წავჭკეპი,
მოვიწინებ თავსაო.

VI

შენ გენაცვალს დედაო,
შვილო, თავ-დაუდებარო,
დაჭრილო და დაუწყოლო
შენ წამალ დაუდესარო.

VII

მეშა უნდა მუშაობდე,
ქარავანი ქარავნობდე;
შენისთანა ვარგი ბიჭი
ქალაქს უნდა ფალავნობდე.

VIII

ქართველები ღომსა ჭკვანან,
სომხეთელები ტასსაო,
კასელის კაცის ჭირიძე,
მეფეს ანაცვლებს თავსაო.

IX

ბატონი მეფე გვიცოცხლოს
ერეკლე ჩვენი გმირიო,
მტერს წინ წაუვა გულად
რამში იქმნება პირიო,
უმისოდ ჩვენი ბიჭობა
იქნება გასაჭირიო,
მტერი მოგვივა და დაკვროცავს
როგორც სორველა-ჭირიო.

*) ეს ლექსები გადმოგვცა დასაბუტლად უფ. ზ. ტიჭინაძემ.

წერილები ავთარხურლიდან

წერილი მესამე

რუსულს მწერლობაში სუფიუს, სხვათა შორის, ერთი მიმართულება, რომელსაც უწოდებენ სლავიანოთილურს მიმართულებას. ამ მიმართულებას მიმდევარნი დაწმუხნებულნი არიან, რომ ვეჟა სლავიანის ტომის ხალხთა შორის აჩსებებს შეუწყველი ერთობა, რომელიც, თუმიცა ჯერ არ არის ხორც შესხმული, მაგრამ აღრე თუ გვიან მოვა დრო და ეს მიმდევარი უხილავი ერთობა თვით საქმით გამოაშკარავდება, განსორცაულდება, რეგორც, მაგალითებზე, განსორცაულდა გერმანიის ხალხის ერთობა. იგინი დაწმუხნებულნი არიან აგრეთვე, რომ ვეჟა ამ სლავიანთა შორის უზირატესობა ეკუთვნის რუსებს, რომელთაც დაიძვიდრეს ეს უზირატესობა რეგორც რცხვით, აგრეთვე თვის ისტორიით და სხვა და სხვა რნებობის თვისებებით. დაწმუხნებულნი არიან გადევ, რომ ევროპის განათლება, ევროპის ცივილიზაცია დაძველდა, გაიუჭნა, გაიჩვენა, თესვები დაუღმა და აღრე თუ გვიან გაქანწყვდება რეგორც შარშინდელი თოვლი ევროპის წინაშე დგას სლავიანის ტომი, რომელსაც ჯერ არ მიუღია რსოველი მონაწილეობა კაცობრიობის ცხოვრებაში, დგას ახლგაზდა, უმანკო, გაურყენელი. რომელსაც ჯერ არ მოსცხებია ევროპის სინდლწი და ევროპის წამსდარი ცივილიზაცია. მოვა დროცა—ამ ბოლებს სლავიანოთილნი—როდესაც ეს უმანკო ტომი, ძლიერი თვისის ერთობით, მოედება დედა-მიწას და წარღვნასავით გაიტაცებს ამ შესვენებულს ევროპის განათლებას და წყობას. ამ მარჯვე მოძრაობაში ახალი სლავიანის დროშა ეჭირება, რასაკვირვლია, რუსეთს, რადგანაც იგი სლავიანთა მოძმეთა შორის უფროსია. ადვილად მისგდები, მკითხველო, თუ ამისთანა აზრისა და მიმართულების კაცებს რა გვარი მსედველობა უნდა ქქენდეთ თვით თვისის საკუთარის ქვეყნის შინაგანთა საქმეთა შესახებ. რეგორც მოგვსენებათ, რაც ვი რამ განათლება თუ წარმატება სუფიუს რუსეთში თითქმის სულ დასავლეთ ევროპიიდან არის გადმოტანილი, ვეჟა ამ წამსდარის ცივილიზაციის ნაშრომი და ნაღვაწია. მაშასდამე სლავიანოთილნი ამ განათლებისა და წარმა-

ტების წინააღმდეგნი უნდა იყვნენ. მათ უნდათ უყუაგდონ ეს ცივილიზაცია და დაახსონ ახალი, რომლის თესვებს ეძებენ თვით რუსისა და სხვა სლავიანის ხალხთა ძველებუც ცხოვრებაში. მაშასდამე სლავიანოთილნი არიან მიმდევარნი და მოზირდაზირენი ახალისა. ახლის მიმდევარნი ამბობენ—მართალია ხალხის ცხოვრებაში ბუერი მკირთასი რამ მოიზრება, რის შესახაც მომაგალ ბედნიერებისათვის სანატრული და საჭირა; ხალხის ცხოვრება და მოწყობილობა არის თავი და თავი ნიადაგი, რომელსაც გერ ასცილდება ადამანი თვის მოღვაწეობაში ამავე ხალხის სასარგებლოდ და რომელიც უსათუოდ უნდა იქონიოს მსედველობაში. მაგრამ მანც და მანც ამ ნიადაგზედ უნდა იხეიროს იმავე ევროპის ცივილიზაციის თესვა, მისის უკეთესის აზრისა და ჭკუის მონაგარმა და ნაშრომა. სლავიანოთილთა ქადაგების ქვაკუთხედი არის მხოლოდ გვარ-ტომობა, მხოლოდ გვარ-ტომობაზედ ამყარებენ იგინი ხალხის მომაგალს. მათთვის მხოლოდ ის არის საკეთილო, საბედნიერო, რასაც შეიცვენ საგვარ-ტომო თვისებანი; მათთვის ხალხის განათლება და წარმატება ნიშნავს მხოლოდ ამ თვისებათა განვითარებას. სლავიანოთილთა წინააღმდეგნი სხვა რიგად იქნებენ. მათის აზრით თავი და თავი ნიადაგი არის ხალხი, მისი გაჭირება და მოთხოვნილებაანი რა გვარ-ტომობასაც უნდა იყოს ეს ხალხი. ამ ნიადაგზედ დათესილ უნდა იქმნეს ის თესლი, რომელსაც შეუძლიან მოსპოს ეს გაჭირება და დაამყაროთილეს ეს მოთხოვნილებანი. იქნება ამ თესვაში იმისთანა რამ აღმოცენიოს, რაც არ მოიზრება ხალხის გვარ-ტომობაში; ან იქნება მოსპოს იმისთანა უმგზავსობა რამ, რასაც საგვარ-ტომო ხასიათი აქვს,—ეს სულ ერთია. ერთის სიტყვით სლავიანოთილთა და მათ წინააღმდეგთა შორის სუფიუს მძიმე განსუთქილება, რომელიც დაძოვადებულია მათ დედა-აზრთა განსხვავებაზედ: ზირველნი ამყარებენ თვის მიმართულებას გვარ-ტომობაზედ, მკორენი—ხალხსზედ და საზოგადო ბედნიერებაზედ (ჯერ ეს ბედნიერება მინიჭეთ ხალხსა და გვარ-ტომობა უთქვენოთაც მისცემს ცხოვრებას თვისებურ თესვას). საკულავოდ მოგასხენეთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენის აზრით გვარ-ტომობას ისტორიაში და მასზედ დამყარებულს მიმართულებას. შემოსხენებული რიოდე სიტყვა საჭირა მხოლოდ მისთვის, რომ ქვემო მოყვანილი გაურბობარი არ დაჩხეს მკირხველისათვის.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
 МУЗЕЙ ПЕРВОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ

სლავიანოფილთა ბუდე ძველადგანვე მოსკოვიან. ასეც უნდა იყოს, რადგანაც თუ არ რუსეთის კუქში, სადღეობა სლავიანოფილთა თავსესაფარი სადგომი? აქედან—მომდინარებს ზოგჯერ აშკარა, ზოგჯერ უხილავი ბრძოლა მოსკოვისა და ზეტრებურლის მწიკლბობის შორის. ამ ბრძოლასაც ქრისტიანთა ერთი დრო. ეს იყო ის დრო, როდესაც ერთგვი მიმართულებას მძლავრი და ნიჭიერი მოღვაწენი ჰქონდათ. ეს იყო ის დრო, როდესაც რუსეთის თითქმის სულსადაც აიღო ფეხი, ცხოვრებამ იტვალა ფეხი და შევიდა წარმატებაში. ეს იყო ის დრო, როდესაც სლავიანოფილთა თავისი ღვაწლი დაქსდევს რუსეთის კეთილმდგომარეობისათვის, როდესაც მათ შორისამც ზოგჯერ უსარგებლოდ არ ხიარა ახალის მოძრაობისათვის, როდესაც მოხდებოდა ხალხი, რომ სლავიანოფილთა და მათ წინააღმდეგთ თითქმის ერთი და იგივე წადილი უფეთქავდა გულს და ბრძოლა თითქმის უგუდბობდა ხალხი. ეს უგანსაკნელი შემთხვევა მოხდებოდა ხალხი მათ, როდესაც იმისთანა მოვლენაზედ ჩამოვარდებოდა ღაზარავი, რომელიც ერთგვარად სასურველი იყო რეგორს სლავიანოფილთათვის, ისე მათ წინააღმდეგთათვისაც. ამ შემთხვევაში მათ შორის განსხვავება მდგომარეობდა მასში, რომ ვიხეიანი ამბობდნენ—ეს მოვლენა უნდა დავიჩინოთ, რადგანაც იგი რუსის ხალხის საგვარ-ტომო თვისებაა; მერქნი ამბობენ—ეს მოვლენა უნდა დავაჩინოთ, რადგანაც იგი ხალხის კეთილმდგომარეობის მომასწავლებელია. (მოკისსენოთ მაგალითები, ბასის სასოფლო საზოგადოების ბედ-იღბალსად).

ბევრი გოგა წყალი დაიღვარა მას აქეთ; ბევრად მოდუნდა და შეწყნარდა ცხოვრება. მოდუნდნენ აგრეთვე სლავიანოფილთა, თუმცა იმავე ბუდეს ქვეშ არიან შეფარებულნი. რაც კი რამ დამაღლი, უვარვისი რამ მოიხრევა მეტნიერებაში თუ ცხოვრებაში—ეველას მათ სიყვარულს და პატივისცემას იხურებს. მათის ფიქრით რუსეთის არამც თუ განათლება და წარმატება არ აკლია, არამედ ძალიანაც გადუქვარება და არ აწყენს ცოტა რომ უკან დაიწიოს... ეს სლავიანოფილთა, სწორედ მოგასსენოთ, უგანსაკნელ დრომდე, შესაბამისის სურათს წარმოგვიდგენდნენ იმ მხრითაც, რომ სრულიად მარტონი არსებობენ ცხოვრების მიმდინარეობაში. რუსეთის უკეთეს საზოგადოებაში მათ გამოჩენილთა წინაპართაც სახელი გატყნისილი ქრისტიანთა და ელხანდელს წვრილ-ფეხობას

ვიღა დაუგდებდა უუქს. მათზედ ჩამოვარდებოდა ხალხი ერთადე სიტუაც მხლოდ მათ, როდესაც ჩენისა და სლავიანოფილთა სლავიანები სტრუქტურა ეწვეოდნენ რუსეთს და ამის გამო განმართებოდა სადილი და სასლავიანო სადღეობელი სმა. დაბრუნდებოდნენ სტრუქტურები შინისკენ და სლავიანთა ხმაურობა შესწყდებოდა. მაგრამ თუ ეს იყო შინ, თუ შინაობაში მოსკოვის სლავიანოფილთა მცადნიერება ამა იყო და მას თითქმის არავითარი კვალი. არ ჰქნებოდა ცხოვრების ჩვეულებრივს მიმდინარეობაში, ამასვე ვერ ვიტყვით ევროპისა და მისთა სლავიანთა შესასებ. სლავიანოფილთა იმდენსა ევროპის სლავიანის ტომის ერთობაზედ, მის ახალს ცივილიზაციასზედ, რომ ცოტად თუ ბევრად დაიფთხეს ევროპა. მართლაც ეს ამოღენს ხალხს რომ შემოგვივარდეს და აქაობა აიკლას, შინი მტერი იქნება ჩენის სქემო. მართალია ევროპის განათლებულნი და დაწინაურებულნი კაცები დაწინაურებულნი იყვნენ და არიან კიდევ, რომ ეველას ეს ტუთი-უბრალე ღათაობას სლავიანოფილთა მიერ; დაწინაურებულნი არიან, რომ შემოსსენებული ერთობა მხლოდ ზოგიერთა მეტნიერთა თავში სუფიქს და არ თვით სლავიანის ტომის ხალხთა შორის, რომელთაც იმდენსა გაჭინკება და მწუნარება აწევთ, რომ არა სლავიანთ საგვარ-ტომო ერთობისათვის. მაგრამ საზოგადოების უმრავლესობა თითქმის იხურება სლავიანოფილთა ტრანსპარანს და ევროპა იმ ეს-ესარის სლავიანები ერთი ერთმანეთს ხელს გაუყრან და რუსეთის წინამძღობლობით წაჭრენიან ევროპის ცივილიზაციას. შედგომბაში შედიოდნენ აგრეთვე თვით ევროპის სლავიანის საზოგადოებანიც, რომელსაც ცოტად თუ ბევრად ევროპა, რომ მართლაც და მთელს რუსეთს, დიდდამ პატარამდე სიზმარშიაც კი სულ სლავიანთა ერთობა ელხანდებო...

აწინდელი ომიანობა დიდ განსაცდელს მოასწავებდა სლავიანოფილთათვის. თუ მართლაც რამე ერთობა სუფიქს სლავიანთა შორის, თუ ეს ერთობა მართლაც ცხოვრებაშია გამკლარი და არ მარტო მეტნიერთა ოცნებაში,—ეველას ეს ელხა უნდა გამოჩენილიყო, ელხა უნდა დამტკიცებულიყო თვით საქმით. ამასვე უკეთეს, ამასვე უფრო კეთილშობილურს შემთხვევას როდისღა უნდა დასწრებულიყო სლავიანის ხალხს! ელხა უნდა გამოჩენილიყო თუ რა გვარი კავშირი არსებობს უფროსთა და უნტროსთა სლავიანთა შორის. მაგრამ... მაგრამ ბევრი

იმისთანა რამ გამოჩნდა, რაც სრულიად არ ეთანხმება წემოხსენებულს სლავიანოფილთა ტრანსპარანსს. გამოჩნდა, რომ სლავიანთა შორის არავითარი ერთობა, ერთგვარი მიდრეკილება და გულის წაღილი არ სუგუვს, აგრეთვე არც ისე თვალ-სწევრილი სიყვარული უფროსთა მოძქეთადმი არსებობს. მართალია სლავიანები სისარულით მიეგებნენ რძიანობას, მაგრამ ამისთანავე გამოჩნდა, რომ მათი შინაგანი წაღილი არის თვით-არსებობა და ამ წაღილს არასოდეს და არა რისთვისმე არ დაჭსთმობენ (თუ არ ძალდატანებით, რასაკვირველია)... გამოჩნდა უფროსთა მძუბის მადიდებლობა, ამხარტანობა და ამის გამო დაცემულთა ბოლგარიელთა მიერ ეჭვი გულგრილობა და სხვა... გამოჩნდა, რომ ჩაგრულთა დასაცვლად, ერთობისა და თავისუფლების დადგენისათვის სხვა ბევრგვარი ძალაც საჭიროა... მართალია ჯერ წამოყენებული საქმე არ გათავებულა, აქოთილი ცნობებები არ დალაგებულა, ჩუკლებრივ რაშიმე არ ჩამდგანა და ამიტომ სრული განკითარებული სჯა და დასკვნა ძნელია, მაგრამ მაინც საქმე ისე საგზოდ განათებულია, რომ გაცნობა შენიშნოს ის საზოგადო ხასიათი, რომელზედაც მე ვლანაჩაკობ და სიტყვა მომაქვს ამ უამად.

რუსის სლავიანოფილები იმ აზრისანი არიან, რომ ჩვენსედა უკეთესი მთელს დედა-მიწაზედ არავინ მოიზრება. მართალია, ჩვენ და სლავიანები მძუბი ვართო, მაგრამ მაინც რადგანაც ჩვენ უფროსნი ვართო, ამიტომ დარბეუბაც შეგვეყრისო და თვით გალანკაცაო, თუ უნდრისნი მძუბი ისე ვერ მოიქცნენ რეგორც ჩვენ გვინდაო. უკვლავ ეს ცოტად თუ ბუკანად ესლაც გამართლდა. აქ გვავტანდებო, სხვათა შორის, ერთი მაგალითი, რომელიც გასეთებში იყო მოყვანილი: ბოლგარიაში, სადაც რეგორც მოგესხენებათ, დიდი-ხანია რუსის მმართველობას შემოღებული, დაარსეს აგრეთვე ქალაქის საბჭონიც ერთმა სამხედრო მოხელემ დანახა, რომ ადგილობრივნი წარმომადგენელნი იშვიათად დანარბიან საბჭოში, ძალიან გაჯავრდა თურმე და გამოუცხადა ბოლგარიელებს — თუ არ იარეთ, დაისჯებითო. ამ მაგალითის შესახებ ერთი რუსის მწერელი *) ამბობს: „იქნება ეს განსაკუთრებული, მხლოლობითი შემთხვევა, მაგრამ მაინც სანახუნია, რომ მმართველობაში მოიზრდნენ გაცნობი, რომელ-

თაც შეუძლიანთ ამ გვარის შეცდომის მოსდენა. ამ მოღვაწეში ვინაობთ ჩვენს უფროსთა ბძანების ბუკითს აღმასრულებელს. იგი არა ზრუნავს თვით საქმის შინაარსზედ, რომელიც მასზედ მინდობილია, მას მხოლოდ უფროსობა და ბძანებლობა უნდა. მოღვაწემ ვერ მოიზრება, რომ განსანთავისუფლებულ და დაშინებულ ხალხში თვით მმართველობის დადგენა უვირილით და მუშტით შეუძლებელია.“

ჯერ სერბიელნი და რუსები ვერ მოუხერხდნენ ერთი ერთმანეთს, ესლაც ბოლგარიელებს და რუსებს გვარობად გაუგიათ ერთი ერთმანეთი. რადესაც ბოლგარიელნი დიდს აღტაცებაში არ შედიოდნენ, რუსის გორესზინდენტები ამბობდნენ, რომ ბოლგარიელნი უმადურები არიან და სრულიად არა ჭგობნობენ რა მძიმე ღვაწლი ვივისრეთო მათის ბედნიერებისათვის. ვთქვათ მართლაც ეჭვი და ცოტადენი გულგრილობა გამოიჩინეს ბოლგარიელებმა უფროსთადმი (თუმცა მერე გამოჩნდა, რომ ამისათვის საკმაოდ საბუთებიცა ჭგინათ ბოლგარიელებს). აქ შესანიშნავი ის არის, რომ უფროსებმა თითქო მარტო ესლაც გაიცნეს თვისნი უმცროსნი მძუბი. მართალიც არის, მაგრამ ახლაც ძიბძნდით და იკითხეთ: სად არის ის ერთობა, ის უხილავი მიდრეკილება და გულის ბგერა ერთი ერთმანეთისათვის, მაშინ, როცა არც კი იცნობენ ერთმანეთს შეიძლება მძობა და გულწრფელი ერთობა რადესაც უმცროსნი ეუბნება უფროსს: „მართალია ჩაგრული ვართ, მართალია მესარჩლები, მაგრამ სულგრძელეობა მოითხოვს ისე მომექცე, რომ წამ და უწუმი არ მავუდარო შენი სიკეთე, არ შემიგინო თავიერყვარობა, არ დამიხვარო გაცნობრივი სული. შენვე არ მითხარ თავი და თავი საქმე გვარ-ტომობა არისო. მეც ამ აზრისა ვარ და ამიტომ უკვლავზედ უწინარესს მინდა დავიცვა თვით არსებობა, ჩემი საკუთარი გვარ-ტომობა, ჩემი საკუთარი ენა, ჩვეულება. საქმე ის არის, რომ სრული თავისუფლება და ერთობა იმ ნიადგზედ სეირობს, რომელიც ჯერ შენც არ დაგცმუნადებია და მე რაღა უნდა მომცე...“

რეგორც მოგახსენეთ წამოყენებული საქმე ჯერ არ გათავებულა. ჩვენც დავუწყადოთ მის დაბოლოებას, უფროსათლად გამოაშვარებას, და შემდეგ ხელმეორედ მიუბრუნდებით ამ წყრილის საგანს. ესლაც მოგახსენებთ რჩიოდ სიტყვას, დაშირებისა მებრ, შარშანდელ ბოლგარიის აჯანყებზედ. ამის შესახებ მოვიყვან ჰირ-და-ჰირ ერთს აღ-

*)Наша печать и болгарскія дѣла, „Вѣстникъ Европы“ 1877, № 10.

